ნაყოფიერია მუზეუმისათვის 1950-1954, განსაკუთრებით კი 1955-1973 წლები. მიუხედავად მოსამსახურე პერსონალის სიმცირისა, უტრანსპორტობისა და გზების უვარგისობისა, ამ პერიოდში განხორციელდა ფრიად მნიშვნელოვანი შემგროვებლობითი, სალექსპოზიციო და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. 1963 წელს მოხერხდა მუზეუმის



სურათებზე: მუზეუმის ექსპონატები — X-XI საუკუნეების ვერცხლის სამწერობელი; XII საუკუნის ჩარჩოს მოჭედილობის დეტალი.

მდიდარი მასალის ექსპონირება ახლად შეძენილ შენობაში. მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელსაც არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი ხელმძღვანელობდა.

ამ მრავალრიცხოვან ღონისძიებათა და დადგენილებათა შორის, რომლებიც სხვადასხვა დროს მიუღიათ ჩვენში სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 მაისის დადგენილება „სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა და ფასეულობათა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ ისტორიული დადგენილების საფუძველზე მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უწყებრივად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს დაუქვემდებარდა და ეწოდა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი. დადგენილების მიღებას წინ უსწრებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ სვანეთში შემორჩენილი ძეგლების აღრიცხვა-აღწერის, მეცნიერული შესწავლისა და ეფექტიანი დაცვისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა გრძელვადიანი სამუშაო ციკლის დამტკიცება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში 1972 წელს შეიქმნა კომპლექსური ექსპედიცია. პრობლემის დიდი მეცნიერული მნიშვნელობის გამო 1973 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა „სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია“ აკადემიის იმჟამინდელი პრეზიდენტის, აკადემიკოს ი. ვეკუას თავმჯდომარეობით. ფასდაუდებელია ილია ვეკუას პირადი წვლილი სვანეთის წარსულის შესწავლის გამოცოცხლებაში. კომისიასთან ერთად მან ორჯერ იმოგზაურა როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში და აქტიური მონაწილეობა მიიღო სვანეთის კულტურის ძეგლების შესწავლასა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში. მისი გარდაცვალების შემდეგ კომისიას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი შ. ძიძიგური. ამჟამად კომისია არსებობს საქართველოს

მთიანეთის კომპლექსური კომისიის სახით და მას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიკოსი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე. სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის კომპლექსური ექსკომისიის ხელმძღვანელია აკადემიკოსი თ. ონნანი. სანგანგებო აღნიშვნის ღირსია ის დიდი მუშაობა, რომელსაც აღნიშნული კომისია ეწევა დღიდან მისი დაარსებისა.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გადასვლას მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მუზეუმისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. უპირველესი ის არის, რომ მის მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს საქართველოს სამუშეუმო-სამეცნიერო ცენტრი— საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. პირველი ერთობლივი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება გახლდათ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ძეგლთა დაცვის ზონალური სისტემის შექმნა, ჩამოყალიბდა საუწყებო საპატრულო დაცვის საგუშაგოები, გაფართოვდა სამეცნიერო საშტატო ერთეულები, გაზრდილდა მუზეუმის მატერიალური ბაზა, გაიმართა რამდენიმე სამეცნიერო სესია, შეიქმნა სამეცნიერო საბჭო და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სვანეთის მუზეუმმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დახმარებით, განახორციელა ოქრომჭედლური და ფერწერული ხელოვნების ძეგლების კვალიფიციური გაწმენდა-გამაგრება და რესტავრაცია, ეკლესიების ფასადური მხატვრობის ასლების დამზადება და მათი ექსპონირება. ეს მეტად რთული, მაგრამ გადაუდებელი სამუშაოები თვისებრივად ახალი მოვლენაა მუზეუმის არსებობის 50-წლიან ისტორიაში.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის ძლიერ ნაყოფიერია კვალიფიციური დახმარება, რომელსაც უწევს მას სვანეთის შესწავლის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიცია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის ე. ხარაძის დიდი დახმარება როგორც სამეცნიერო, ისე საორგანიზაციო საქმიანობის სათანადო დონეზე წარმართვაში.

მუზეუმი ყოველთვის და დღეს განსაკუთრებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა მესტიაში მუზეუმის ახალი, თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობით აღჭურვილი შენობის აგება, ზრუნვა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სათანადო დაფინანსება და სხვა, რაც მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტივს გაზრდილ პასუხისმგებლობას აკისრებს.

უეჭველია, მუზეუმის მშენებლობის დროული დამთავრება მეტად შეუწყობს ხელს არაერთი პრობლემის გადაჭრას. მაგრამ ყველაზე მეტად ის ფაქტი გვაღელვებს, რომ არ ხერხდება ცალკეულ ეკლესიებში არსებული რკინის სეიფებში ერთმანეთზე დაწყობილი ხელოვნების შედევრების სათანადო მოვლა-პატრონობა, მათი ასეთ პირობებში დატოვება კი შეუწყნარებელია. კერძოდ, მუზეუმში დღემდე ვერ მოვიტანეთ 3 ძველი ხელნაწერი, ისევ კერძო პირთა ხელშია არაერთი უძვირფასესი სამუზეუმო ქმნილება — რესტავრატორებს ელის მრავალი ოქრომჭედლური და ფერწერული ხელოვნების ნიმუში, და თუ არა საზოგადოების გულისხმიერი თანადგომა და დახმარება, სხვაგვარად ამ საშვილიშვილო საქმეს ვერასგზით ვერ მოვევლება.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეტად მნიშვნელოვანი ექსპონატები დღეს ცნობილია მრავალი სპეციალისტისა და დაინტერესებული პირისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

მუზეუმის მდიდარი სამეცნიერო ფონდი კვლავაც განუზომელ სამსახურს გაუწევს ქართული მეცნიერების მრავალ დარგს.

ლ. ჭილაშვილი,

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ეროვნული ფაქტები • მოვლენები

ქვეყნად მშვიდობის განსამტკიცებლად

მოსკოვში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დამთავრება საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია. განმარტავს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ფ. მიტერანის მოლაპარაკებისა და საუბრების შედეგებს, მსოფლიო პრესა აღნიშნავს, რომ, როგორც მთელი ძალით აღინიშნა მოსკოვში, სსრ კავშირის გენერალური დებულება საერთაშორისო საქმეებში გულისხმობს ყოველი ღონე იხმარონ მშვიდობის განსამტკიცებლად, გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთის უერთიერთმოქმედება აადვილებს შესაძლებლობას ჯანსაღ კალაპოტში დააბრუნონ საერთაშორისო ურთიერთობა, რაც ახალ პოლიტიკურ აზროვნებას მოითხოვს.

◆ **პარიზი**

„ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებამ და საუბრებმა ჩაიარეს კეთილგანწყობის, ურთიერთგაგებისა და დიდი პასუხისმგებლობის ატმოსფეროში, ჰქონდათ კონსტრუქციული და გულწრფელი ხასიათი. ამასთან იგი წერს: სსრ კავშირი საფრანგეთს თავაზობს ახალი ფორმის ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, მათ შორის სამრეწველო კოოპერაციის გამოყენებასა და ერთობლივ წარმოებათა ორგანიზაციას, განხილულ აგრეთვე განათლების კომპიუტერიზაციის, ერთობლივი კოსმოსური კვლევისა და ბირთვული ენერგეტიკის დარგში კოოპერაციის შესაძლებლობანი. ტფ-1 ტელეკომპანიის გადაცემაში, რომელშაც გადმოსცა ვარსკვლაველთა ქალაქში მ. ს. გორბაჩოვისა და ფ. მიტერანის ყოფნის რეპორტაჟი, აღინიშნა, რომ კოსმოსის მშვიდობიანად ათვისებაში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობას კარგი პერსპექტივები აქვს.

საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენები უდიდესი ყურადღებითა და იმედით აღევნებდნენ თვალს მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებას, განაცხადა, ამასთან საბჭოთა ხელმძღვანელობა მაღალ შეფასებას აძლევს ამ გზაზე საფრანგეთის შესაძლებლობებსა და წვლილს.

◆ **პრაღა**

დღეს, როცა კაცობრიობამ გადაადგა ბირთვული და კოსმოსური საუკუნის ზღურბლს, საჭიროა აზლებური აზროვნება, თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების შეგნება, თითეეულის ინტერესების გათვალისწინება, წერს **„რუდე პრავო“**. ამ მიმართულებით ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკისათვის შთამაგონებელი ძალა და მაგალითია მოძმე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილების მიერ შემუშავებული კურსი. საბჭოთა კომუნისტების ფორუმის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან ღრმად გააანალიზა თანამედროვე სამყაროში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, გამოავლინა საერთაშორისო ვითარების გაუარესების მიზეზები, დასახა შემქმნელი სტუაციის დაძლევის რეალური გზები, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკების შინაარსი და შედეგები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ამ კურსის თანამიმდევრული განხორციელების მკაფიო მაგალითია.

◆ **ბონი**

განმარტავს რა მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგებს, ტელევიზიის მეორე პროგრამა **ცდფ** აღნიშნავს, რომ ორივე მხარე ესწრაფვის ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას. როგორც **„გენერალ-ანციაგერი“** აღნიშნავს, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელმძღვანელებმა გამოხატეს შეშფოთება აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის აზლანდელი დონის გამო. მათ გამოთქვეს საერთო აზრი, რომ ამჟამად საჭიროა არსებული პრობლემების გადაჭრისადმი ახალი, რეალისტური მიდგომა.

◆ **ჰელსინკი**

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრამ კვლავ აღძრა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში ევროპის როლის საკითხი, წერს **„ტაიდლინტანია“**. ევროპის ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სისტემატურად უარს ამბობს დადებითად გამოეხმაუროს სსრ კავშირის საშვიდობო წინადადებებს, და პასიურად არ უნდა ელოდონ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას. საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფისა და განიარაღებისათვის საჭიროა ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის ფინეთის აქტიური მოქმედება.

◆ **ვაშინგტონი**

როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება ხელს შეუწყობს პროგრესს ორი ქვეყნის ურთიერთობაში. **ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინებს:** სსრ კავშირმა და საფრანგეთმა განაცხადეს, რომ არ შეიძლება გამალებული შეიარაღების შემაკავებელი მორიგებების დარღვევა, მისი სხვა სფეროებზე გავრცელება. ნიშანდობლივია, აღნიშნავს სააგენტო, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა არაერთგზის განაცხადა, არ ვეთანხმები კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებსო. როგორც საბჭოთა, ისე საფრანგეთის მხარეს, უმთავრესი ყურადღება მიაპყრეს ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის აუცილებლობას, გარკვეეთ განაცხადეს, რომ სურთ გააფართოონ პოლიტიკური დიალოგი, განავითარონ ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა.

◆ **აშშ-კუბა**

უარი უთხრეს ვიზაზე

ჰავანა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეერთებულ შტატებში ჩასვლის ვიზა არ მისცა კუბელ მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც მიწვეულია ჰონოლულუში პედიატრთა მე-18 საერთაშორისო კონგრესზე.

პედიატრთა ლათინურ-ამერიკული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ენსო დუენიასმა, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა კუბის დელეგაციას ამ სამეცნიერო ფორუმზე, პრენსა ლატინას საგაზეთოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დაბრკოლებანი, რომლებსაც კუბელ მეცნიერებს უქმნიან, ახალი მტრული აქციაა ამერიკელ ხელისუფალთა მხრივ, რომლებიც ცდილობენ საშუალება არ მისცენ კუბას კიდევ ერთხელ ცხადყოს თავისი მიღწევები მედიცინის სფეროში, განსაკუთრებით პედიატრიის დარგში.

● **სალვადორი**

ვაშინგტონის კარნახით

ჰავანა. დუარტეს პროამერიკულმა რეჟიმმა უარი თქვა ხელი მოეწერა „სამშვიდობო აქტის“ ბოლო ვარიანტზე, რომელიც წარმოადგინა კონტადორის ჯგუფმა ამა წლის 7 ივნისს ცენტრალურ ამერიკაში აფეთქებასაშიში ვითარების მოსაწესრიგებლად.

ცდილობდა რა გაემართლებინა თავისი ობსტრუქციონისტული პოლიტიკა, სალვადორის ვიცე-პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა როდოლფო კასტილიომ ამ დოკუმენტს „არასრული“ უწოდა, რომელიც „ნდობას არ იმსახურებს“. მან მიმართა ყალბ რიტორიკას და განაცხადა, სალვადორი მზარს უჭერს „სამშვიდობო აქტის“ პუნქტების შესრულების შემოწმების ეფექტიან სისტემას, რისთვისაც ცენტრალური ამერიკის წახელმწიფოებმა დამატებითი შეთანხმება უნდა მიიღონონ. სალვადორის პოლიტიკური წრეების აზრით, აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით პრენსა ლატინას საგენტო, დუარტეს რეჟიმის მიერ დაკავებული პოზიცია წინასწარ იყო შეთანხმებული ჰონდურასისა და კოსტა-რიკის ხელისუფლებთან, რომლებიც ვაშინგტონის კარნახით ყოველმხრივ ხელს უშლიან კონტადორის ჯგუფის საქმიანობას.

ზეიმი ულან-ბატორში

მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 65 წლისთავის გამო

ულან-ბატორი. მონღოლმა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა მონღოლეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვების 65 წლისთავი. ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა სამხედრო და შრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნაზე იყვნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ყამბინ ბატმუნხი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დუმაგინ სოდნომი, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები. პარადისა და დემონსტრაციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ყამსრანგაინ ენდონმა.

ფოტოინფორმაცია

◆ **გასული ხუთწლედი მონღოლეთის დედაქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ქალაქი ღლითი დღე მშვენდება. შენდება მშვენიერი მრავალსართულიანი სახლები, სკოლის კორპუსები, საბავშვო ბაღა-ბაღები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, გაჭყავთ ახალი განიერი პროსპექტები და ქუჩები.**

მონცამე-საკდესის ფოტო.

ქრონიკა ადასტურებს

ამზადებენ ტერორისტებს

„კარენტი“ სიქ ექსტრემისტთა შესახებ

დელი. ინდოეთის მთავრობას აქვს ცნობები, რომ პაკისტანი მონაწილეობს სიქ ექსტრემისტთა ბანდების ჩამოყალიბებაში, დაფინანსებასა და მომზადებაში, რომლებიც ცდილობენ მიიღწიონ რესპუბლიკისაგან პენჯაბის შტატის გამოყოფასა და მის საფუძველზე „ჰალისტანის სახელმწიფოს“ შექმნას, იტყობინება ყოველკვირეული „კარენტი“.

პენჯაბში დაპატიმრებულ ტერორისტთა შორის ბევრმა გაიარა „დივერსიულ მეცნიერებათა კურსი“ პაკისტანის ტერიტორიაზე და მის მიერ ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის ოკუპირებულ ნაწილში მდებარე ბანაკებში. სუპარატისტთა მომზადებისათვის აღნიშნავს „კარენტი“, შექმნილია სპეციალური ცენტრები რავალკოტის მახლობლად და ნილამის ხეობის რაიონში ინდოეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს. პაკისტანში მოკალათებულ გამთიშველთა მეთაურებს დაუფარავად ხვდებიან ისლამაბადის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელთა მითითებითაც აკოწიწებენ სიქ ექსტრემისტთა ბანდებს ინდოეთში ტერორისტული აქციების განხორციელების მიზნით.

◆ **ბანგლადეში**

ფიცი დაადებინეს

დაკა. აქ ფიცი დაადებინეს ბანგლადეშის ახალ მთავრობას, რომელიც ამა წლის მაისში გამართული პარლამენტის არჩევნების შემდეგ შეიქმნა.

მთავრობას მეთაურობს პრეზიდენტი, მთავარი სამხედრო ადმინისტრატორი ჰოსეინ მოჰამედ ერშადი. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჯ. მ. ერშადის მითითებით მოქმედებს, გახდა მიზანურ რაჰმან ჩოუდჰური. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შეინარჩუნა ჰუმაიუნ რაშიდ ჩოუდჰურიმ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მხარის მატერიალური კულტურის ძეგლთა შეგროვების, დაცვისა და პროპაგანდისათვის გაწეული აქტიური ნაყოფიერი საქმიანობისათვის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:

ბედუკაძე ლამარა ალექსის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **გიოშვილი** ბერდო ალექსის ძე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მაღალმთიანი რაიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის სწავლული მდივანი, **კვიციანი** აკაკი ესტატეს ძე — მესტიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, **ნიჟარაძე** დავით გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდის მთავარი მცველი, **სილოგავა** ვალერი ივლიანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **უენია** რუსუდან ივანეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ნ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **შუკვანი** შადური ადილარის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განყოფილების გამგე, **ჩართოლანი** ციალა იოსების ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, **ჩართოლანი** მიზეიდ ისმაილის ძე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების ხელმძღვანელი, **ჭილაშვილი** ლევან ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მუსიკა ადიდებს მშვიდობას

შეაჯამეს მშვიდობის თემისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაწარმოებთა შექმნისათვის გამართული კონკურსის შედეგები. კონკურსი გამოაცხადეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ მშვიდობის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით. მისი მიზანია ჩვენი პლანეტის სილამაზის, უღრუბლო ზეცისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ყოთელი ნების ადამიანთა ბრძოლის სადიდებელი საგუნდო და სოლო სიმღერების შექმნა.

კონკურსის ჟიურიმ, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი იოსებ კეკელაძეძე თავმჯდომარეობს, პირველი პრემია არავის არ მიანიჭა.

მეორე პრემია მიენიჭათ კომპოზიტორ შავლეგ შილაკაძეს პოეტ სიმონ შამფრიანის სიტყვებზე შექმნილი სიმღერებისათვის „ცა იყოს წყნარი“ და რესპუბლიკის სახალხო არტისტს შოთა მილორავას პოეტ ხუტა ბერულავას ლექსებზე შექმნილი ბალადისათვის „სამშობლოსათვის დაცემულ ვმირებს“.

მეორე პრემია მიენიჭათ კომპოზიტორ შავლეგ შილაკაძეს პოეტ ანა კალანდაძის ლექსზე შექმნილი სიმღერებისათვის „შვიდია ჩვენი დილა“ და პოეტ ნოდარ ჯალაღონიას სიტყვებზე შექმნილი სიმღერისათვის „თავისუფლების დროშით კვდებოდნენ“.

გამარჯვებული ნაწარმოებები შევა პროფესიული და თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების რეპერტუარში. (**საქინფორმი**).

◆ **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა**

მოქმედების ეროვნული დღე

ჰარარე. პრეტორიის რეჟიმის მიერ შემოღებული საგანგებო წესების მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ ცხრება მასობრივი მოძრაობა აპარტეიდის წინააღმდეგ.

იოჰანესბურგიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ აფრიკის პროფკავშირების კონგრესის — ქვეყნის უდიდესი პროფგაერთიანების — ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ორშაბათს მოაწყოს „მოქმედების ეროვნული დღე“. როგორც კონგრესის განცხადებაშია ნათქვამი, ამ დღეს მთელი სამხრეთ აფრიკის საწარმოებში დაიწყება გაფიცვები საგანგებო წესების გაუქმების, პოლიტპატიმრების განთავისუფლებისა და აფრიკელი უმრავლესობის წინააღმდეგ რასისტთა სისხლიანი რეპრესიების შეწყვეტის ლოზუნგებით.

◆ **საბერძნეთ-აშშ**

მთავრობის გადაწყვეტილება

ათენი. საბერძნეთის მთავრობამ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნა ნება დართონ მას მოახდინოს საწყობების მოდერნიზაცია, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ბირთვული იარაღის განსალაგებლად.

საბერძნეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მილტიადის პაპაიოანუმ განაცხადა, ეს გადაწყვეტილება იმით არის ნაკარნახევი, რომ ათენი აპირებს მოლიანად გაწმინდოს საბერძნეთის მიწა-წყალი ბირთვული იარაღისაგან.

მეცნიერები მოითხოვენ

10 ივლისს მოსკოვში გაიმართა ბირთვული გამოცდების შეწყვეტისათვის მებრძოლ მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმის მომწყობი საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა. თვალსაჩინო მეცნიერებმა — მსოფლიოს 11 ქვეყნის ცოდნის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი ბირთვული გამოცდების შეწყვეტისათვის მებრძოლ მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმის მუშაობის წესის შესახებ, რომელიც მიმდინარე

საბჭოთა პოეზიის ზეიმი

ქუთაისი, 11 ივლისი (საქინფორმის კორ.). საბჭოთა პოეზიის, ხალხთა მეგობრობის ნამდვილი დღესასწაული გახდა მაიაკოვსკის დღეები, რომლებიც ტრადიციისამებრ იმართება რევოლუციის დიდი მომღერლის სამშობლოში... დღეების მონაწილეთა პირველი სიტყვა მიეძღვნა პოეტსა და მოქალაქეს ვლადიმერ მაიაკოვსკის. ბუნებრივია, ისინი ეწვივნენ ქალაქის პირველ საშუალო სკოლას, სადაც სწავლობდა მომავალი პოეტი. სტუმრებმა დაათვალიერეს კლას-მუზეუმი, დაესწრნენ მოსწავლეთა მიერ გამართულ კონცერტს.

პოეზიის დღეების მონაწილენი იყვნენ აგრეთვე ქუთაისის სამრეწველო საწარმოების შრომითი კოლექტივების სტუმრები, გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

შემდეგ დღესასწაულმა გადაინაცვლა პოეტის სამშობლოში — ქალაქ მაიაკოვსკში. სტუმრები შეიკრიბნენ მაიაკოვსკის ძეგლთან, დაათვალიერეს მისი სახლ-მუზეუმი, გაეცნენ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს, რომლებიც შეკრებილია ახალ საექსპოზიციო დარბაზში. შემდეგ გაიმართა პოეზიის დღესასწაული. სახლ-მუზეუმის აივნიდან სხვადასხვა ენაზე ჟღერდა პოეტის სტროფონები. გამოვიდნენ ქალაქ მოსკოვის მაიაკოვსკის მუზეუმის განყოფილების გამგე ი. ვინოგრადოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ჯ. ჩარკვიანი და ლ. თაბუკაშვილი, უკრაინელი პოეტი ს. სოლოვეიოვი, მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატი ლ. ნადარეიშვილი და სხვები. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ; თუ რა მნიშვნელობა აქვს მაიაკოვსკის პოეზიას საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მოძმე ლიტერატურების მჭიდრო შემოქმედებითს კონტაქტებზე, თარგმანის პრობლემებზე, შემოქმედ ახალგაზრდობაზე. ჟღერდა მაიაკოვსკის უკვდავი ლექსები. სასიხარულოა, რომ ეპოქის დიდი პოეტის, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის დღეებს სულ უფრო მეტი თაყვანისმცემელი უჩნდება, — თქვა დღეების მონაწილემ, მოსკოველმა პოეტმა ალექსი პარშიკოვმა. ამის მკაფიო დადასტურებაა პოეზიის დღევანდელი დღესასწაული, რომელიც გაიმართა საბჭოთა მწერლების VIII ყრილობის დამთავრებისთანავე, თითოეული ახალგაზრდა ლიტერატორისათვის ნამდვილი სკოლა რომ გახდა.

მაიაკოვსკის დღეებში მონაწილეობენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე.

დედაქალაქს—სანიმუშო სანიტარიული წესრიგი

თავის მართლება საქმეს უშველის?

სისუფთავე და წესრიგი ყოველთვის აქტუალური საკითხი იყო. დედაქალაქში ამ მხრივ ერთ დროს სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მოძმე ლატვიის დედაქალაქ რიგასთან. რიგელები ამ მხრივ ზომ სანიმუშონი არიან, მათი თბილისელი მეგობრები კი ერთგვარად ცდილობენ მათ მიბაძვას.

უკანასკნელ წლებში ამ მხრივ მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და თითქმის სავალალო გახდა. ამაში თვალის ერთი გადავლებითაც დავრწმუნდით პარასკევს, 11 ივლისს დილადაადრიან ქალაქის ქუჩებსა და ეზოებში რომ გავედით. პირველი შეჩერება საბურთალოს რაიონში მოგვიხდა.

მშვიდობის გამზირი, სახლი № 33. ამ სახლის ვრცელი ეზო ერთ დროს ლაზათიანად გამოიყურებოდა. ენთუზიასტებმა, რომლებიც აქ ჩასახლდნენ ამ 25-30 წლის წინათ, გაამწვანეს იგი, დადგეს მერხები, მაგიდები და საღამოთი დასასვენებლად და ენერგიის აღსადგენად სხვა ეზოს მცხოვრებლებიც მოდიოდნენ აქ.

ყოველივე ეს მოგონებად დარჩა. მერხები და მაგიდები სიძველისაგან დაიშალა. სადღაა დასაჯდომი, ან კიდევაც რომ იყოს, ვინ დაჯდება. ირგვლივ ყველაფერი ჩახერგილია. რა არ ყრია აქ: ყუთები, საშენი მასალების ნარჩენები, ამოყრილი ბორდიურის ქვები. სანაგვედ კი მოსახლეობას გარაჟების წინ სპეციალური ადგილი შეურჩევიათ. ნაგავს ყრიან ფუთებით, ცელოფანის პარკებით და ქაღალდში სპეციალურად შეფეთულსაც კი. მის ირგვლივ საშინელი მყრალი სუნი დგას, ეზევეა ბუზები, შაწაწყალა კატები კი თავს არხეინად გრძნობენ.

რატომ ყრიან აქ ნაგავს? ამ შეკითხვაზე სახლის ყველა მობინადრე ერთნაირად გიპასუხებთ, ერთნაირად იმართებს თავს:

— მე არ ვყრი, ხოლო ვინც ასე იქცევა, დამნაშავე როდია. საათობით ველოდებით ავტომანქანას, ხანდახან ნაშუადღევს მოდის. ამ დროს ბევრს სამსახურში აგვიანდება, რა ქნას, როგორ მოიქცეს? პასუხის გაცემა გაგვიძნელდა, რადგან ამ დღეს ავტომანქანა ათ საათზეც არ იყო მოსული!

ამავე ეზოს მცხოვრებლებს არც კი ახსოვთ როდის ჩაატარეს აქ რემონტი რაიონის სარემონტო კანტორის მუშაკებმა. მათ მიატოვეს ლტთონის კასტები მორჩენილი საღებავებით. მას შემდეგ მისი გამტანი არავინ არის, ისინი აქ ყრია პურის ძაღაზიის უკან. შვიდსართულიანი სახლის მობინადრეები (შვიდიდან 35) ნაგვის ბუნკერით სარგებლობენ, მაგრამ აქ ნაგავი იქვე მდებარე სახლების მცხოვრებლებსაც მოვქვთ. რაკი ბუნკერის კარი საიმედოდ არის დაკეტილი, იქვე ყრიან. შემოწმების მომენტში იდგა ნაგვის მთა და საშინელი ანტისანიტარია. ასეა ხშირად სხვა დროსაც, შვიდობის გამზირის 33ა სახლის ეზოში დაზიანებულია კანალიზაციის ჭები და წყალს ცუდად ატარებს, წვიმაში დგება წყალი და გავლა შეუძლებელია, მომრავლებული კოღო მობინადრეებს მოსვენებას უფრთხობს.

ბულაჩაურის ქუჩის № 7 სახლს და შვიდობის გამზირის № 29 სახლს საერთო ეზო აქვთ. აქაც სპეციალური ადგილი „შიუჩენიათ“ ნაგვისათვის. საჭმლის ნარჩენებთან ერთად აქ ბლომად ეყარა ველი დამტვრეული ნივთები: სკამები, სხვადასხვა ხარახურა. ბულაჩაურის № 10 სახლის შესასვლელ ჭიშკართანაც ნაგვის გროვაა, ხოლო ამავე ქუჩის მეექვსე სახლში ნაგავი შესასვლელის კიბის ქვეშ მოხერხებულად დაუყრიათ. ბულაჩაურის №1-ა სახლთან, ქუჩაში წინათ სანაგვე ბუნკერი იდგა და საშინელ ანტისანიტარიას აყენებდა. ბუნკერი აიღეს. ახლა მობინადრეებს ნაგავი გამოაქვთ და პირდაპირ იმ ადგილზე ყრიან. რა ქნან მეეზოვეებმა? ისინიც იძულებული არიან ნაგავი გადაყარონ და ზედმეტი შრომა გაწიონ. კიდევ კარგი, რომ აქ ასე მაინც ხდება! ლენინის ქუჩის № 71 სახლის მობინადრეებმა შემოგვჩივლეს: — ჩვენი სახლის წინ ავტომანქანა სრულიად არ ჩერდება. მათ გამოსავალი უპოვიათ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუდგამს ბუნკერი და მობინადრეები ჩუმად ყრიან შიგ ნაგავს.

იოსებიძის ქუჩის № 63 სახლისათვის რკინაბეტონის ღობეები მოუხსნიათ, მაგრამ იქვე ყრია უწესრიგოდ, არ გაუტანიათ, 65-ე სახლის წინ დილაადრიან ბლომად ეწყო მოსახლეობის მიერ გამოტანილი ნაგავი. ზოგან ნაგვის „ასორტიმენტს“ ბოთლებიც მიეატა, რადგან მას შემსყიდველი პუნქტები აღარ იბარებენ. იოსებიძის ქუჩის 69-ე სახლის წინ ბოთლები ბლომად ეყარა. აქვე იყო კანისტრები, ძველი ტანსაცმელი... ამავე ქუჩის № 74 სახლთან ასეთი სურათის მოწმენი გავხდით: სახლის კედლები დაბზარული, მოსულან სათანადო ორგანიზაციებიდან, სამირკვლიდან მიწა ამოუღიათ და გაუზიდიათ, რათა მის გასამტრებლად ბეტონის ხსნარი ჩაესხათ, მაგრამ შემდეგში ეს გადაუფიქრებიათ, ალბათ, საჭირო არ ნთვლეს. მიწა ამოღებული დარჩა და სანაგვედ იქცა. აქ მეეზოვეებიც კი ყრიან ნაგავს რას არ ხახავთ ჩაყრილს, მათ შორის მოჭრილი ხეების ტოტებს, ფიცრებს და ა. შ. ყოველ საღამოს გამოაქვთ ნაგავი მობინადრეებს და ყრიან კინო „თანამგზავრის“ გვერდით.

ბახტრიონის ქუჩის № 39 სახლშიც საშინელ ანტისანიტარიას წააწყდით. ბუნკერებიდან სისტემატურად არ გააქვთ ნაგავი, მორავლდნენ მაწაწყალა ძაღლები, კატები, ვირთხები, სარდაფებში კი რწყილი. ცალკე უნდა ითქვას მაწაწყალა კატებისა და ძაღლების შესახებ. ზოგიერთი „პულკეთილი“ ადამიანი მათ სხვადასხვა ნარჩენებით უმასპინძლდება. განსაკუთრებით კატები მრავლდება. ეს ადამიანები იმას კი არ ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ გადაიტანონ სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებები, ამბინძურებენ შესასვლელებსა და ეზოებსაც.

საბურთალოდან გეზი დიღმის მასივისაკენ ავიღეთ. მეოთხე კვარტალში შევხვედით. პირველი მაისის რაიონის დასუფთავების სამსახურის მუშაკებს შედარებით უკეთ მოუწყვიათ ნაგვის გატანის ორგანიზაცია. ეზოებში ცალ-ცალკე დგას ნაგვისა და საჭმლის ნარჩენების ბუნკერები და მობინადრეები სარგებლობენ, მაგრამ შეინიშნება, რომ ზოგჯერ იგვიანებს ბუნკერებიდან ნაგვის გატანა. ზოგნულის ცხელ დღეებში ნარჩენები ლუპად და ცუდ სუნს აყენებს, ეხვევა ბუზები. მრავალსართულიანი სახლების მექანიკური ბუნკერებიც არ იცლება დროულად. მეოთხე კვარტალის მეოთხე კორპუსში ბუნკერის კარი მოგლეჯილი აქვს, ნაგავი გარეთ იფანტება და ანტისანიტარიას, ეპიდემიური დაავადების საშიშროებას ქმნის. აქვე მობინადრეებს გამოუტანიათ დიდძალი საშენი მასალების ნარჩენები და მიმოფანტულია ირგვლივ. ამ და სხვა სახლების წინ მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანისას მიწა გადაუთხრიათ, მაგრამ აღარ მოუსწორებიათ და ეზო ულაზათოდ გამოიყურება, წვიმაში კი ატალახებულია და გუბეები დგება. ელექტრომეტრი წაქცეულია და მის მეცვლაზე არავის უფიქრია. ამავე კვარტალის მეათე კორპუსში დაზიანებულია კანალიზაციის მილი და ბინიური წყალი სარდაფში იღვრება. მცხოვრებლებმა გაგვიცხადეს: რამდენჯერმე მივაკითხეთ 32-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ხელმძღვანელობას, მაგრამ გვითხრეს, ეგ ჩვენ არ გვეხება, კანალიზაციის მუშაკებს მიაკითხეთო. მივაკითხეთ, ისინიც გვეუბნებიან, ჩვენი საქმე არ არსო, ყველა თავიდან გვიცილებს, ამასობაში წლები გადის, საქმე ფუჭდება, შეიძლება ერთ დროს ეპიდემიამ იმძლავროს. საქართველოსი მობინადრეთა გულისტკივილი. ნაცნობია მათი სიტყვები — კომენტარს არ საჭიროებს.

სად, რომელ უბანშიც უნდა მიხვიდეთ, დარწმუნდებით, რომ სისუფთავეს, წესრიგს, სანიტარიულ მდგომარეობას არავინ არ დაგიდევს. ეს უწინარესად სათანადო ორგანიზაციების ბრალია, მაგრამ მობინადრეებიც სცოდავენ, რომლებიც ცდილობენ მოიცილონ ნაგავი საკუთარი ბინიდან და სულაც არ დაგიდევენ, სადაც უნდა დაყარონ. სცოდავენ საწარმოთა ხელმძღვანელებიც, რომელთაც სისუფთავისა და წესრიგისათვის ზრუნვა თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნიათ. იგივე დღიღმში, მტკვრის სანაპიროზე იქ მდებარე საწარმოებს და დაწესებულებებს ბლომად გამოუტანიათ საშენელო და წარმოების ნარჩენები და ტრამვაის ხაზის გასწვრივ ამაზრზენ განწყობილებას ქმნის.

ა. გელოვანის ქუჩის 24-ე სახლის წინ ცელოფანის ტომრებით გამოუტანათ და დაეწყოთ ნაგავი მობინადრეებს. ეს კიდევ უფრო იმით აჩრის გულისტკენი, რომ აქ ქალაქის ცენტრალური მაგისტრალია, სადაც ყოველდღიურად ათასობით სტუმარი გაივლის.

ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. რაისაბჭოებისა და ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელობამ უფრო მოქნილად და ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელოს საქმეს.

ბ. დეკანიძე.



სურათებზე: აი, ასე „დაუშვენებიათ“ ბარნოვის ქუჩის № 102 სახლის ეზო იქვე მდებარე გასტრონომის მუშაკებს; მშვიდობის პროსპექტის № 33, 35 სახლების ეზოს კი ასე „უვლიან“ და „პატრონობენ“ იქაურები.

ᲡᲐᲪᲮᲝᲗᲐ

ოლიმპიური იდეების ერთგულებით

ᲐᲛ დღეებში არაერთხელ ითქვა, რომ კვირეული ნების ასპარეზობანი არც მცირე ოლიმპიადაა და არც დიდი. უბრალოდ რომ ვთქვათ, იგი ამ წლის ერთ-ერთი უდიდესი და დიდმნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებაა, რომელსაც სარბიელებზე მოპოვებული შედეგებთან და რეკორდებთან ერთად ჩვენი-პლანეტის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა დაახლოება, კეთილგანწყობა და მეგობრება მოაქვს. ჟურნალისტებისათვის მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე კეთილი ნების ასპარეზობათა საპატიო სტუმარმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა: „მე მივესალმები კეთილი ნების ასპარეზობებს იმისთვისაც, რომ იგი ჰუმმარიტად ოლიმპიური იდეალების შესატყვისად მიმდინარეობს“. და მართლაც, სწორედ ამას ადასტურებს თვით ასპარეზობანი, აქ დაძაბულ ბრძოლა ერთად ეროვნული ნაკრებები ერთმანეთს ეჯიბრებიან ოლიმპიურ ფერებში. ეს ბრძოლა ეროვნულ ნაკრებებს ეხმარება ერთმანეთის ცოდნაში, ეხმარება ერთმანეთის ტექნიკურ-ტაქტიკურ ოსტატობაში, ეხმარება ერთმანეთის ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ ბუნებაში, ეხმარება ერთმანეთის ფსიქიკურ-ფსიქოლოგიურ ბუნებაში. ეხმარება ერთმანეთის ეროვნულ-ეთნიკ